**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი** **2022 წლის 10 ნოემბერი**

**დისციპლინური საქმე №183/19**
**მოსამართლე -- -- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

-- -- 2019 წლის 31 ოქტომბრის №183 საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და $75^6$ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით განაჩენის კანონიერების შემოწმების ნაწილში, შეწყდა დისციპლინური სამართლწარმოება.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- ბრალდებულს წაართვა დუმილის უფლება და სს საქმის განხილვის დროს იყო მიკერძოებული.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- სს საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად დაეწერა 2019 წლის 28 თებერვალს.

საქართველოს სსსკ-ის 220-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, 2019 წლის 2 აპრილის წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის სხდომის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 11 მარტი, 14:00 საათი. 2019 წლის 11 მარტის არსებითი განხილვის სხდომა გადაიდო 19 მარტს, ვინაიდან მოსამართლე იმყოფებოდა შვებულებაში.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით, -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი და მეხუთე ნაწილებით (2019 წლის 1 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა -- -- წლისა და -- -- თვის ვადით. ამასთან, -- წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის დასკვნა:**

-- -- 2019 წლის 31 ოქტომბრის №183 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-2 პუნქტით „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

**4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[8] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შეფასებისას დამოუკიდებელი ინსპექტორი ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.

განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინურ საჩივარში მითითებული გარემოებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მნიშვნელოვანია შეფასდეს ხომ არ იკვეთება მოსამართლის მხრიდან მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევა. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისა და კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები. მოსამართლის მიუკერძოებლობა გულისხმობს როგორც რეალურ მიუკერძოებლობას, ასევე გარეშე დამკვირვებლისაგან მის ასეთად აღქმას.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე უნდა შთააგონებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი. მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-2 ღირებულება არის „მიუკერძოებლობა“, რომლის თანახმად, მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც, რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ამ პრინციპის გამოყენების 2.1. პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს სუბიექტური თვალსაზრისით, ანუ სასამართლოს არცერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს პირადი მიკერძოება ან წინასწარ შექმნილი წარმოდგენა. პირადი მიუკერძოებლობა იგულისხმება, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებულებები; მეორე, რომ სასამართლო

მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს რაიმე ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამ კრიტერიუმის თანახმად, აუცილებელია, განისაზღვროს, მოსამართლის ქცევისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს თუ არა სარწმუნო ფაქტები, რომლებიც მის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაცვის მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ და არც მოსამართლეს არ განუცხადებია თვითაცილება.

დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას საქმესთან დაკავშირებით გამოკითხული პირის - -- -- ინფორმაციით, იგი მოსამართლის მოსყიდვისა და მისი მიკერძოებულობის შესახებ ინფორმაციას ფლობს მხოლოდ მსჯავრდებულის ახლობლების გადმოცემით, მსგავს ფაქტს თვითონ არ შესწრებია და სასამართლო სხდომებსაც არ ესწრებოდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საჩივარში მითითებული ორი პირის გამოკითხვა ვერ მოხერხდა, მათი გამოუცხადებლობის გამო.

რაც შეეხება მოსამართლის მიერ ბრალდებულისთვის დუმილის უფლების შესაძლო წართმევის ფაქტს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. ამავე კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უნდა განემარტოს, რომ იგი შეზღუდული არ არის გამოძიების დროს მის მიერ ბრალის აღიარებით ან უარყოფით, რომ არ არის ვალდებული, პასუხი გასცეს დასმულ კითხვას, და რომ დუმილის უფლებით სარგებლობა არ შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული.

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენებაზე უარის თქმის პრივილეგია და დუმილის უფლება კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სამართალწარმოების ცნების ცენტრალური ელემენტია. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ სახელმწიფო ორგანოები უნდა ეცადონ მათი პოზიციის დამტკიცებას იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობის გარეშე, რომელიც მოპოვებულია ძალადობით ან ზეწოლით ეჭვმიტანილის ნების საწინააღმდეგოდ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მართლმსაჯულების არასათანადო განხორციელება (John Murray v. UK).

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, 2019 წლის 19 მარტს, არსებითი განხილვის პირველივე სხდომაზე მოსამართლე -- -- განუმარტა ბრალდებულს  უფლებების შესახებ, ასევე დუმილის უფლების შესახებ, რაც გამოიყენა ბრალდებულმა.

2019 წლის 18 სექტემბრის სს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდებული -- -- დაიკითხა მოწმის სახით. თუმცა როდესაც დაიწყო ბრალდების მხარის მიერ მოწმის  დაკითხვა, ბრალდებულმა გამოიყენა დუმილის უფლება, რაზეც მოსამართლემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ბრალდებულის ფუნდამენტური უფლებაა და მას შეეძლო არ გაეცა კითხვებზე პასუხი.

2019 წლის 3 ოქტომბრის სს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდებულმა არ ისარგებლა საბოლოო სიტყვის უფლებით.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცომის ჩადენის ნიშნებს.

**5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{1}$ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

დისციპლინურ საქმეზე №183/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**